თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3262605

ნომერი: AR1499800

თარიღი : 01.05.2017

გაცემის თარიღი : 16.05.2017

გაცნობის თარიღი : 17.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 79 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით შენგელია პ/ნ 01024003652
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24ბ ბ. 24

ორგანიზაცია:

- შპს ,,გერმანული სამშენებლო კომპანია'' კოდი: 405047364

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 1 მაისის №AR1499800 განცხადება, ამავე სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (ნაძალადევი), ჩარგლის ქ. #79–ში, შ.პ.ს. გერმანული სამშენებლო კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.12.04.001.145) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 18 ნოემბრიდან 2017 წლის 18 ნოემბრის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ საერთო ფართობად: 3528.95 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად: 2355.58 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად: 367.5 კვ.მ-ის, კომერციული ფართობად: 59.5 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად: 57.1 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად: 364.04 კვ.მ-ის, კიბის უჯრედის ფართობად: 325.23 კვ.მ-ის დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 17 ნოემბრის №1599084 ბრძანებაში მითითებულია, საერთო ფართობი: 3456.11 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 1700.8 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 330.9 კვ.მ, კომერციული ფართობი: 140.5 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობი: 592.5 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 352.4 კვ.მ, კიბის უჯრედის ფართობი: 339.01 კვ.მ. რაც შეეხება 2017 წლის 1 მაისის №AR1499800 განაცხადში აღნიშნულ მოთხოვნას, იგი წარმოადგენს შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილს და მისი გასწორება საჭიროებს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას, არამედ სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (პროექტის კორექტირებას).

შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 1 მაისის №AR1499800 განცხადება.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.